ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისა და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის
2021 წლის 1 ივნისის ოქმი N3

სხდომა დაიწყო 14:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

გრიგოლ ვეფხვაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - თავმჯდომარის მოადგილე

ბესიკ ტოგონიძე - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

ლევან კავთიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ნინო ნიკოლავა - მერიის აპარატის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

ეკა პაპუაშვილი - არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო ქავთარაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

დავით იშხნელი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გიორგი ტუხაშვილი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ **გრიგოლ ვეფხვაძემ**

გრიგოლ ვეფხვაძე: დღეს მოვისმენთ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შემდგომ გაკეთებულ ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტულ კითხვარზე.

ლევანი კავთიაშვილი: მოგახსენებთ, რომ წინა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა კითხვარების შესაბამისად საზოგადოებრივი აზრის კვლევა გასული წლის შედეგების შეფასებისა და მომავალი წლის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. ამ პერიოდში განხორციელდა 1629 ადამიანის გამოკითხვა და შემდგომში მისი ანალიზი, ამ ეტაპზე გამოიკვეთა ის ძირითადი

პრიორიტეტები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნება მომავალი 4 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

წარმოდგენილი შედეგების ანალიზი კი ასე გამოიყურება:

2020 წელში პრიორიტეტები ასე განაწილდა:

1. სოციალური სფერო
2. გარემოს დაცვა
3. ინფრასტრუქტურის განვითარება
4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
5. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა
6. ტრანსპორტის განვითარება
7. მუნიციპალური სერვისების განვითარება
8. ამხანაგობების ხელშეწყობა

2022 წლის პრიორიტეტები კი ასე განაწილდა:

1. სოციალური სფერო
2. გარემოს დაცვა
3. ინფრასტრუქტურის განვითარება
4. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
5. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა
6. მუნიციპალური სერვისების განვითარება
7. ამხანაგობების ხელშეწყობა
8. ტრანსპორტის განვითარება

გრიგოლ ვეფხვაძე: მინდა ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით აღვნიშნო, რომ ძირითადი პრიორიტეტები დარჩა უცვლელი, თუმცა არის განსხვავება, რამაც დაგვანახა რომ მუნიციპალიტეტის მმართველობა ახლოს არის საზოგადოების მიერ შეფასებულ და წარმოდგენილ პრიორიტეტებთან, კერძოდ: 2020 წელში არსებული ტრანსპორტის განვითარების გეგმა უკვე 2022 წელში პრიორიტეტების ბოლოში გადავიდა, ეს ნათლად გვაჩვენებს მოსახლეობის აზრს უკვე გამართული მუნიციპალური ტრასპორტის შესახებ.

ლევანი კავთიაშვილი: დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გამოკითხვის ჩატარებაში გაწეული დახმარებისათვის მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებს და მერის წარმომადგენლებს, ვინაიდან მათ მოკლე დროში დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს.

ამის შემდგომ მოხდება პრიორიტეტებისათვის შესაბამისი ჭერების განსაზღვრა და დაგზავნა დარგობრივ სამსახურებსა და პროგრამების განმახორციელებლებთან.

გრიგოლ ვეფხვაძე: შეგახსენებთ, რომ ივლისის თვეში კვარტლის ანგარიშების წარდგენისას ყურადღება მიაქციეთ ამ სამუშაო ჯგუფის მიერ დადგენილი ვადების დაცვას.

ასევე მინდა მადლობას გადავუხადო გამოკითხვის წარმართვაში ჩართულ ყველა სამსახურს ნაყოფიერი სამუშაოს ჩატარებისთვის, გისურვებთ წარმატებებს.

გრიგოლ ვეფხვაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - თავმჯდომარის მოადგილე

ბესიკ ტოგონიძე - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

ლევან კავთიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

ნინო ნიკოლავა - მერიის აპარატის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი გენდერულ საკითხებზე

ეკა პაპუაშვილი - არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო ქავთარაძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი

დავით იშხნელი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი

გიორგი ტუხაშვილი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი